

შპს „ქლინ ფლეისი“-404910860

**ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის,
რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს**



შპს "ქლინ ფლუიდი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარიში)

	შემოგნა	2020	2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1 077 310,34	1 753 971,79
არამატერიალური აქტივები	5		
საინვესტიციო ქონება	10		
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 077 310,34	1 753 971,79
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი და ფულადან გათანაბრებული იმსტრ.	6	22 434,48	209 437,01
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მითხოვნებ	7	180 053,34	285 681,03
მარგები	8	213 147,22	224 019,09
წინასწარ გადახდილი გადასახადები			
ზამთური სესხები			
სულ მოკლევადიანი აქტივები		415 635,04	719 137,13
სულ აქტივები		1 492 945,38	2 473 108,92
მოვალეობები			
საქონლები კაპიტალი		(3 881 225,53)	(3 881 225,53)
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვებული ზარალი)		3 689 767,81	3 035 095,38
გადაფასების რეზერვი			
სულ კაპიტალი		(191 457,72)	(846 130,15)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	(1 079 114,34)	(916 866,70)
გრძელვადიანი ფინანსური ოჯარის ვალდებულებები		(1 079 114,34)	(916 866,70)
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		(1 079 114,34)	(916 866,70)
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	11	(120 702,53)	(433 106,67)
ფინანსური ოჯარის მიმდინარე ნაწილი			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	(100 715,16)	(242 650,58)
საგადასახადო ვალდებულებები	200	(955,63)	(34 354,82)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		(222 373,32)	(710 112,07)
სულ ვალდებულებები		(1 301 487,66)	(1 626 978,77)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		(1 492 945,38)	(2 473 108,92)

შემოწმება

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



[Handwritten signature]

შპს "ქლინ ფლეისი"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020
წლის დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2019
ამონაგები	<u>12</u>	(881 858)
თვითღირებულება	<u>13</u>	815 197
საერთო მოგება		(66 661)
სხვა შემოსავლები		-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>16</u>	108 582
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	<u>14</u>	45 612
ძირითადი საშუალების ჩამოწერის ხარჯი		83 418
სხვა ხარჯები	<u>15</u>	19 914
საოპერაციო მოგება		190 864
ფინანსური შემოსავალი		
ფინანსური ხარჯი	<u>17</u>	104 106
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		74 637
სხვა არასაოპერაციო ზარალი/მოგება		285 065
მოგება დაბეგვრამდე		654 672
მოგების გადასახადი	<u>18</u>	
წმინდა მოგება		654 672
სხვა სრული შემოსავალი:		
გადაფასების რეზერვი		
მთლიანი სრული შემოსავალი		654 672

დირექტორი



მთ.ბუღალტერი

შპს "ქლინ ფლინისი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწყისი კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მილიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	(3 881 226)	-	3 035 095,38	(846 130)
წმინდა მოგება	-	-	654 672	654 672
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	654 672	654 672
გადახდილი დივიდენდი	-	-	-	-
საწყისი კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	(3 881 226)	-	3 689 768	(191 458)

დირექტორი



მთ.ბუღალტერი

შენიშვნა -4
ძირითადი საშუალებები

	10	11	12	13	14	15	16	17	ოჯართ ადრეული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო რეზერვები	კომპიუტერული ლიტერატურა	მიწა მოწყობილობები	ჯამი
ლარში													
2019 წლის ბიზნეს მდგომარეობით	1 513 793	1 953 786	72 966	-	171 722	-	165 620	-	3 877 888				
შესყიდვა		30 316	9 267		-	-	-	39 584					
გასვლა	(761 742)				(88 859)			(850 600)					
გაუფასურება													
შიდა კუმულური რეკლამაციები													
გადაფასების რეზერვი													
2020 წლის ბიზნეს მდგომარეობით	752 051	1 984 103	82 234	-	82 863	-	165 620	-	3 066 871				
დაგროვილი ცვლადი	20	21	22	23	24	25	26	27					
2019 წლის ბიზნეს მდგომარეობით	(528 775)	(1 498 173)	(60 659)	-	(36 309)	-	-	(2 123 916)					
ცვლილების ხარჯი		(140 828,85)	(9 088,64)		36 309	-		(113 609)					
გასული აქტივების დაგროვილი ცვლადი	247 963,66							247 964					
2020 წლის ბიზნეს მდგომარეობით	(280 811)	(1 639 002)	(69 748)	-	-	-	-	(1 989 561)					
საბალანსო დირექტორების	985 018	455 614	12 307	-	135 413	-	165 620	-	1 753 972				
2019 წლის ბიზნეს მდგომარეობით	471 240	345 101	12 486	-	82 863	-	165 620	-	1 077 310				
2020 წლის ბიზნეს მდგომარეობით													



შენიშვნა-8 მარაგები

ლარში	31/12/2020	31/12/2019
80 მზა პროდუქციის	-	-
81 წყალმომარაგების	66 955	100 817
82 დაუმთავრებული წარმოება	-	-
83 საჭიროების	146 192	123 202
84 სხვა მარაგები	-	-
Check	213 147	224 019
	-	-

შენიშვნა-7 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31/12/2020	31/12/2019
70 სავაჭრო დებიტორული დაგადასახადებები	94 769	189 488
71 საექსპორტო ვალუტის ანარიცხების რეზერვი	85 289	85 302
72 სხვა მოთხოვნები	(4)	10 891
	180 053	285 681
Check	-	-

შენიშვნა-6 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	31/12/2020	31/12/2019
61 ფული საღარიბოში	850	5
62 ფული საბანკო ანგარიშებზე	21 584	209 432
	22 434	209 437
Check	-	-

შენიშვნა-9 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	31/12/2020	31/12/2019
90 სავაჭრო ვალდებულებები	(91 022)	(204 094)
91 გადასახდელი ხელფასები	(9 693)	(38 557)
92 გადასახდელი პროცენტები	-	-
93 გადასახდელი დივიდენდები	-	-
94 სხვა ვალდებულებები	(100 715)	(242 651)
Check	-	-

შენიშვნა-12 ამონაგები

	ლარი	31/12/2020
121	მზა პროდუქციის რეალიზაცია	-
122	წედლეულის რეალიზაცია	-
123	მომსახურების რეალიზაცია	(881 858)
		(881 858)
Check		-

შენიშვნა-13 თვითღირებულება

	ლარი	31/12/2020
131	მზა პროდუქციის თვითღირებულება	-
132	წედლეულის თვითღირებულება	815 197
133	მომსახურების თვითღირებულება	815 197
Check		-

შენიშვნა-13 რეალიზებული მზა პროდუქციის თვითღირებულების კომპონენტები

134	პირდაპირი მასალები	155 643
135	შრომითი ანაზღაურება	212 975
136	კომუნალურები	190 005
137	იჯარა	-
138	ცვთა	221 339
139	დამხმარე მასალები	-
1391	რემონტები	28 406
1392	სხვა	6 828
		815 197
Check		-

შენიშვნა-14 მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

შენიშვნა-14	ძირითადების და მარკეტინგის დანახარჯები	31/12/2020
141	სარეკლამო ხარჯები	-
142	საწვავის ხარჯი	44 502
143	სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	1 110
144	რეალიზაციის დანახარჯები	-
		45 612
	Check	-

შენიშვნა-15 სხვა ხარჯები

	ლარი	31/12/2020
151	დებიტორული დავალიანების რეზერვის ხარჯი	-
152	ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯი	83 418
153	დაზღვევის ხარჯი	8 374
154	მზა პროდუქციის განადგურების ხარჯი	-
155	მოგების გადასახადის ხარჯი -კანონმდებლობის თანახმად	-
156	ჭონების გადასახადი	11 540
		103 332
Check		-

შენიშვნა-16 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	ლარი	31/12/2020
161	შრომის ანაზღაურება	61 828
162	ცვთა და ამორტიზაცია	-
163	საგადასახადო ხარჯი	-
164	საკონსულტაციო ხარჯი	25 505
165	რემონტის ხარჯი	-
166	ბანკის მომსახურება	4 025
167	წარმომადგენლობითი ხარჯები	-
168	იჯარის ხარჯი	-
169	მივლინების ხარჯები	-
1691	სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	16 895
1692	კომუნიკაციის ხარჯები	329
		108 582
Check		-

შენიშვნა-17 ფინანსური ხარჯი

	ლარი	31/12/2020
171	ბანკის სესხის პროცენტი	104 106
172	არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	285 065
173	სხვა ფინანსური ხარჯები	74 637
		463 808
Check		-



შპს ქლინ ფლეისის 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ქლინ ფლეისი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2011 წლის 16 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 404910860 კომპანიის იურიდიული/ფაქტიური მისამართია: ქ.თბილისი, გვირილების ქუჩა 13. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტექსტილისა და ბეწვეულის რეცხვა/ქიმწმენდა. კომპანიის წილის მფლობელები არიან: 100% იანი წილის მფლობელი ალექსანდრე ქუთათელაძე.

კომპანიის დირექტორია ალექსანდრე ქუთათელაძე -პ/ნ 01017008590 2020 წელს კომპანიის საშუალო თანამშრომლების რაოდენობა იყო 36 ადამიანი.

1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;


მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს, კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2018 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2018 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.



(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8677	3,2095
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4,0233

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებს:


ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;

და

ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თვითაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.



თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა


ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც



საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა



ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;
ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
ნაგებობები	15-20
მანქანა- დანადგარები	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5
	30-50
ელექტრო მოწყობილობები	5-10

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა



კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.
გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.
მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.


თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.



მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

- სასამართლო დავები - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები



2020 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება
კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად
დამტკიცებულია 2021 წლის 01 ოქტომბრით

დირექტორი:



დირექტორი: